ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7451668

ნომერი: AR11086845

თარიღი : 10.04.2025

გაცემის თარიღი : 17.04.2025

გაცნობის თარიღი : 24.04.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოტე მარჯანიშვილის ქუჩა N31ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2025 წლის 10 აპრილის №AR11086845 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 10 აპრილის №AR11086845 განცხადებით მომართა ლუკა ჩაგანავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 23

იანვრის №6849811 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 23 იანვრის №6849811 ბრძანებით №01.16.05.003.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 23 იანვრიდან 2025 წლის 23 ივლისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2024 წლის 15 მარტის №6935022 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2024 წლის 23 იანვრის №6849811 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 15 მარტიდან 2025 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2024 წლის 23 იანვრის №6849811 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 908.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 908.7 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 328.6 კვ.მ-ის ნაცვლად 329.1 კვ.მ., სასაწყობე ფართობი 198.9 კვ.მ-ის ნაცვლად 199.0 კვ.მ., დამხმარე ფართობი: 52.5 კვ.მ-ის ნაცვლად 52.6 კვ.მ.
სამსახურმა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილ არქიტექტურულ გეგმებზე დატანილი საცხოვრებელი და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების ჯამური მაჩვენებლები და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული იგივე ფუნქციის მაჩვენებლები ერთმანეთთან შეუსაბამოა. ასევე, წარმოდგენილ გეგმებზე გადაადგილებულია საკადასტრო საზღვარი. ასევე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ფართობების გასწორება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შესწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:

1.1 დააზუსტოს მოთხოვნა საცხოვრებელ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.

1.2 წარმოადგინოს სამსახურის 2024 წლის 23 იანვრის №6849811 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმების იდენტური არქიტექტურული გეგმები მხოლოდ ფართობების გასწორებით, გეგმარების (მათ შორის საკადასტრო ხაზის) ცვლილების გარეშე.

2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2025 წლის 10 აპრილის №AR11086845 განცხადება დარჩეს განუხილველი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.